ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

სექტემბერი №14 (8) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალიტინი – 110

წინ მიიწევ და ხმაურობ, გღვიძავს,

საქართველოს სევდიანო მიწავ.

ნეტავ, მალე დაამსხვრევდე ბორკილს,

ნეტავ, მალე მიაღწევდე მიზანს!

ქალბატონ ნაირა ბერაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ წარმატებებს საქმიანობაში, პირად ცხოვრებაში.

ცაგერის რაიონის საკრებულო, ცაგერის რაიონის გამგეობა.

ქალბატონ ნაირა ბერაძეს!

სულითა და გულით მოგილოცავთ დაბადების დღეს. ლამაზი და ამაღლებული დღეები არ მოგკლებოდეთ. გვიგულვეთ თქვენს გვერდით.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

გილოცავთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას. დარწმუნებული ვართ ამ მაღალ პოსტზე თქვენი საქმიანობით დიდად შეუწყობთ ხელს საქართველოში დემოკრატიული პროცესების აღმავლობას, მის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

იმედია თქვენი და მთელი პარლამენტის მოღვაწეობა მიმართული იქნება საქართველოს რეგიონების, განსაკუთრებით მთიანი რაიონების გეგმაზომიერი განვითარებისაკენ, რაც გარკვეულად მთელ რიგ პრობლემებს გადაუწყვეტს საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ ეთნიკურ ადმინისტრაციულ ერთეულს——ლეჩხუმს.

გვაქვს პატივი მილოცვა გადმოგცეთ ლეჩხუმის მოსახლეობის ინტელიგენციისა და აქტივის სახელით

ცაგერის რაიონის გამგეობა, ცაგერის რაიონის საკრებულო,
საქართველოს პარლამენტის დეპუტატის რაიონული ბიურო,
გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია.

ინფორმაცია, ინფორმაცია

2001 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა ცაგერის რაიონული გამგეობის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს უახლოეს პერიოდში გადასაჭრელი საჭირბოროტო საკითხები:

1. ცაგერის რაიონის 2001 წლის ბიუჯეტის შესრულების 10 თვის შედეგებისა და წლის დარჩენილ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
2. 2001 წლის 9 თვეში მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში რაიონის პროკურორის ინფორმაცია.
3. სოფელ ნაკურალეშის თემის საკრებულოს საქმიანობის შესახებ.
4. სამხედრო ძალებში 2001 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ.
5. წიფერჩის თემის საკრებულოდან სოფლების ჩქუმისა და ქულბაქის გამოყოფისა და ჩქუმის თემის შექმნის შესახებ.
6. ცაგერის რაიონში 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოწყობის სარაიონო კომისიის შესახებ.
7. რაიონში უკიდურესად შეჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ მოქალაქეთა უფასო კვების ობიექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.
8. ტვიშის თემის საკრებულოს მოსახლეობისათვის სატელევიზიო გადაცემების ჩვენების აღდგენის უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ.

მორიგი სასწავლო წელი ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაში

კიდევ ერთი ახალი სასწავლო წელი დაიწყო თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების ცაგერის ფილიალში, რომელსაც წინ უძღოდა მისაღები გამოცდები, რომელის 2001 წლის 20 ოქტომბერს ჩაგარდა.

გამოცდებმა ყველა წესის დაცვით, თუმცა საკმაოდ ხმაურიანადაც ჩაიარა, საბოლოო შედეგი კი ასეთი გახლავთ: 82 აბიტურიენტიდან მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩაერიცხა 50 აბიტურიენტი. ისინი შემდეგ უპაულტეტებზე გადანაწილდნენ.

დღის სწავლება:

კავშირგაბმულობის ფაკულტეტი.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი. პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია. ბიოსამედიცინო პოლიმერების ქიმია და ტექნოლოგია. ბიოტექნოლოგია.

ქიმიური კვების წარმოების პროდუქტების ექსპერტიზა. ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტი.

ეკონომიკური ინფორმატიკა.

პროდუქციის ხარისხის ექსპერტ-აუდიტი საბაჟოს სისტემაში. ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის კომპიუტერული სისტემა.

დაუსწრებელი სწავლება:

ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა.

სამრეწველო საწარმოთა ელექტრომომარაგება, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაცია. კავშირგაბმულობის ქსელების და კომუნიკაციის სისტემა. ინფორმატიკის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზების სისტემები. გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე.

მშენებლობის მენეჯმენტი.

სამადურე წარმოების ტექნოლოგია.

ფარმაცია.

გამოცდები ჩატარდა ქიმიასა და მათემატიკაში აღგილობრივი პედაგოგებიდან კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ამ ორი საგნის ისეთი ძლიერი სპეციალისტები, როგორებიც გახლავან ქალბატონები ნუნუ ჩაკვეტაძე და დუდუშა გორგასლიძე; აგრეთვე ნოდარ კოპალიანი, ჯემალ ცვარიანი, ბონდო კოპალიანი, მამუკა ლეთოდიანი, მარინა სვანიძე, კომისიას ხელმძღვანელობდა მოსამზადებელი განყოფილების დირექტორი ნუნუ ჩაკვეტაძე.

თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტიდან გამოცდები მიპყავდა დოცენტ ზურაბ ქვათაძეს.

გამოცდებს ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი ცაგერის რაიონიდან, მოსამზადებელი განყოფილების დამფუძნებელი, მაჟორიტარი დეპუტატი კარლო მუშკუდიანი. „უნდა მოვიდეს თაობათა ცვლა, ახალგაზრდები უნდა გაშორდნენ ცაგერის ჩარჩოებს, ეზიარონ დედაქალაქის კულტურას, რათა მეტად გამოადგნენ ლეჩხუმს, მე ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს“—ბრძანა მან აბიტურიენტებთან გასაუბრებისას.

წერითი გამოცდის შემდეგ აბიტურიენტებს გაესაუბრა აგრეთვე ბატონი ზურაბ ქვათაძე, რითაც შეეცადა დაერწმუნებინა ისინი და მათი გულშემატკივრები გამოცდების და გამომცდელთა სამართლიანობაში.

გამოცდებს ჩვენც, ჟურნალისტებიც ვესწრებოდით მანამ, სანამ კომისიამ დაგვრთო ნება. ამდენად იმედი გვაქვს უკვე მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტები ღირსეულად გააგრძელებენ სწავლას თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

თამარ დავითულიანი.

მასალის მოშზადებისას სადღაც განგონი ერთი ფრაზა გაგვახსენდა--„ეურნალისტებმა ცოტ-ცოტა ჯელაფერი იციან, ბოლომდე არაფერიო". ბოლომდე ჩვენ ეკონომიკა ნამდვილად არ გვესმის, მაგრამ ცოტ-ცოტა რომ ვიცით. ამაში ალბათ, ქვემოთ დარწმუნდებით.

სათ მივდივართ? სათ მივეკანებით? „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!"

დარჩით ჩვენთან, ბოლომდე ჩაიკითხეთ ინტერვიუ რაიონის გამგეობის ეკონომიკის განყოფილების გამგესთან ბატონ მამუკა ლეთოდიანთან და...

მამუკა ლეთოდიანი:

ჩემში ენერგია და ძალაა, ვცდილობ სიკეთეში დავხარჯო

მამუკა ნუშარის ძე ლეთოდიანი დაიბადა 1962 წელს. დაამთავრა წაგერის საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და მშენებლობის ფაკულტეტი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

ეკონომიკურ სამსახურში „დილეტანტობა" რომ არ დაებრალებინათ, მამუკამ სნავლა „სიბერეშიც" განაგრძო და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის წაგერის ფილიალში ჩაბარა მისაღები გამოცდები განათლების ეკონომიკისა და მენეჯმენტის სპეციალობაზე.

პირველკურსელია. უფროსშვილია.

--რაკი ჩვენი ინტერვიუ პირველია თქვენთან, როგორც რაიონის ეკონომიკური სამსახურის ერთ-ერთ წამყვან ხელმძღვანელ-სპეციალისტთან, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველს ორიოდ სიტყვით ვუთხრათ თქვენი რგოლის საქმიანობის შესახებ და იმის შესახებაც, რა რეკომენდაციებს გვთავაზობენ ზემდგომი შესაბამისი სამსახურები და რა მოთხოვნებს უყენებენ რაიონულ რგოლს.

--ჩვენს განყოფილებას ეკონმიკური სფეროს ადგილობრივი სამსახური ჰქვია. ძირითადი საქმიანობა რაიონის ეკონომიკური სფეროს ორგანიზების უზრუნველყოფაა. კანონი, ჩვენი მუშაობის შესახებ პრაქტიკულად არსებობს, იგი პრეზიდენტმა დაამტკიცა. ეკონომიკის სამინისტროში შექმნილია სპეციალური სამსახური, რომელიც ზემოთ აღნიშნულ განყოფილებებს კურირებს რეგიონებში, თუმც ჩვენ, ასე რომ ვთქვათ, უშუალო ურთიერთობები მათთან არ გვაქვს. სამხარეო ეკონომიკური სამსახური წარმოადგენს იმ შუამავალ რგოლს, რომელიც ამ უწყებასთან გვაკავშირებს. ჩვენ ამ სამსახურებიდან გვეგზავნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმა, სადაც ყველა დეტალია ჩამოყალიბებული. (ეს გეგმა ემთხვევა პრეზიდენტის არჩევიდან არჩევამდე პერიოდს). 2002-2005 წლების, ძველებურად რომ ვთქვათ „ახალი ხუთწლედის" გეგმა ჯერ არა გვაქვს, თუმც ერთი წელი უკვე გავიდა. შედგენისათვის საჭირო ზოგად მაჩვენებლებს უკვე კარგა ხანია ვაგზავნით. გამოიცა პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებაც, მაგრამ შესაბამისმა უწყებამ არ ან ვერ დაამუშავა აღნიშნული გეგმა, თუმც ნებისმიერი პროგრამა ხომ მაინც ალბათურ ხასიათს ატარებს და სახელმძღვანელოდ, როგორც ასეთი, მას ვერც გამოიყენებთ. ჩვენს განყოფილებას 2002 წლის პარამეტრები კარგა ხანია გაგზავნილი გვაქვს.

--სამხარეო ზემდგომი რგოლი ახსენეთ. თქვენ, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, რა აზრისა ხართ ზოგადად, სამხარეო მოწყობის ინსტიტუტზე? მით უფრო, რომ დღეს ალაპარაკდნენ გარკვეულ კორექტივებზე ამ მიმართებით.

--სამხარეო მოწყობის სამსახური? თუ ამ საკითხს წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისით შევხედავთ, ალბათ ოთხი რაიონის (ჩვენს მაგალითზე) საქმიანობის ერთად გაანალიზება უფრო ოპერატიულ ხასიათს იღებს. რისი მომტანია? ჩვენი ქვეყნის პირველი პირი ბრძანებს, რომ ამ სამსახურებს ჯერ კიდევ არ ამოუწურავთ თავიანთი პოტენციალი. რა თქმა უნდა, შესაძლებლობები ბევრი აქვთ. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სამხარეო ეკონომიკურ სამსახურთან, ბევრ რამეს ერთად ვაანალიზებთ და ვწყვეტთ. თუ რას აკეთებს ამ მოწყობის სამსახურები სტრატეგიული თვალსაზრისით, მე ამის შეფასება არ ძალმიძს.

--გვესმის რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისი და მისი განმაპირობებელი ობიექტური თუ სუბიექტური პირობები. ადეკვატური სიტუაციაა რაიონში. გაქვთ თუ არა რაიმე ანტიკრიზისული პროგრამა, გნებავთ კონცეფცია ეკონომიკის ასამუშავებლად?

--თითოეული სამეურნეო წლის დასაწყისში ეკონომიკური პროგრამის შედგენისა და განსაზღვრისათვის, როგორც უკვე გითხარით, ხდება ინდიკატური გეგმის შემუშავება. რაიონის ყველა დარგის წარმომადგენელი ვალდებულია ჩვენთან წარმოადგინოს მუშაობის პროგრამა კონკრეტული პარამეტრებით და დასაბუთებით--რითაა განპირობებული და გარანტირებული შესრულება. ჩვენ, ჩვენის მხრივ ვალდებული ვართ არა უხეში ჩარევით, არამედ აქტიური გვერდში დგომით ხელი შევუწყოთ მეწარმისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერას (ინვესტიცია, გრანტი და სხვ.). კურირებთ, ვხელმძღვანელობთ სწორი ხედვით--თუ საითკენ წავა ესა თუ ის საწარმო. უფრო ხშირად კი ასე ხდება--ინდიკატურ გეგმებში ათასგვარ ციფრებსა და მაჩვენებლებს გვიწერენ და არასწორი გათვლების შედეგად უმეტესობა რა სრულდება.

--ძალიან ბევრს ლაპარაკობენ დღეს რესპუბლიკაში შექმნილ საფინანსო კრიზისზე--სეკვესტრზე, რომელშიც 164 მილიონი ლარია მოხვედრილი. შეეხება თუ არა იგი დაცულ მუხლებს და, რაც მთავარია, რა გავლენას მოახდენს ჩვენს ბიუჯეტზე?

--საბიუჯეტო კანონის შესაბამისად, ყველა ბიუჯეტი დამოუკიდებელია. რესპუბლიკური მაჩვენებლებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 164 მილიონი ლარით შემცირდა, თუმც ჩვენი რაიონი სატრანფეროა და სეკვესტრი გავლენას არ მოახდენს.

--როგორ ფიქრობთ თქვენ, როგორც რაიონის ეკონომიკური ოფისის წამყვანი სპეციალისტი, აქვს თუ არა ლეჩხუმს საკუთარი რესურსები და პოტენციალი, და რა მიგაჩნიათ ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად?

--პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ **„ლაჯანურჰესი"** რჩება ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ, ცოტა რამ არ არის. ამ საწარმოდან შემოსული თანხები ჩვენთან ირიცხება. მიმდინარე წელში 81 ათას ლარამდეა ჩამორიცხული. წინა წლებიდან 2 მილიონ 500 ათასი ლარის დავალიანება მოჰყვება ამ საწარმოს. ვერ იხდიან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წარმოებული ენერგიის ღირებულებას თითქმის არავინ უხდით.

სოფლის მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა. კარგი ინვესტორები მკვეთრად აამაღლებდა ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ბოლო წლებია ღვინის წარმოების გარდა აღარაფერი გვაქვს, მაგრამ გაჩნდა რაღაც იმედები--გაიწმინდა სასურსათო კომბინატი ჯართისაგან, ჩამოიწერა, ჩაბარდა. ახალი ხელმძღვანელობა ელის ინვესტორებს. ვნახოთ! ვარაუდის დონეზეა გაეროს ეგიდით დაინტერესებულ ინვესტორებთან ურთიერთობა-ლაპარაკია მიმდინარე წელს სტიქიით დაზიანებული ფართობების რეაბილიტაციაზე. ჩვენ ამ საკითხებზე ვმუშაობთ, ვაკეთებთ პროგრამას, რა დოზითაც დაგვეხმარებიან, ეს მათზეა დამოკიდებული.

--შეგაწყვეტინებთ. საინტერესო თემას შეეხეთ. რაიონის ეკონომიკის წამყვანი სფერო მევენახეობა-იყო და რჩება. მით უფრო, რომ დიდი მოთხოვნილებაა ლეჩხუმურ უნიკალურ ჯიშებზე. რთველი კალენდარულად კარგა ხანია დადგა. წლევანდელმა უამინდობამ მით უფრო უნდა დააჩქაროს იმ მცირე მოსავლის დროულად ჩაბარება, რაც ჩვენს შეჭირვებულ მოსახელობას ელემენტარულად მაინც მოათქმევინებდა სულს. სად არიან ინვესტორები? რას აკეთებენ ამ მიმართებით რაიონის თავკაცები, ეკონომიკური სამსახურის მესვეურები?

--სწორი შეკითხვაა. ჩვენ მართალია ინვესტორების გაკონტროლების პრეტენზია არა გვაქვს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვმართავდეთ ამ პროცესს. რაჭაში 4-5 მილიონი მოსახლეობაში უკვე შევიდა. ჩვენც ველოდით, მაგრამ სერიოზული ინვესტორი არ ჩანს.

(ამ ინტერვიუდან საკმაო დრო გავიდა. ამასობაში ჩვენი თვალით ვიხილეთ ცაგერის ღვინის ქარხანასთან უსაშველო გრძელ რიგში დაქანცული ჩვენი მოქალაქეები როგორ ცდილობდნენ თუნდაც იმ კაპიკებში ჩაებარებინათ ჭირნახული, მაგრამ ეს ბოლო იმედიც გაუცრუვდათ--ბევრმა მათგანმა უკან წაიღო ასობით კილოგრამი ოჯალეში... რედ.).

ერთ-ერთი წამყვანი რესურსია აგრეთვე ხე-ტყე. ფონდი არსებობს, მაგრამ გაუვალი გზებია. ტყის კოდექსის სრული დაცვით არ ხდება ჭრა. ამ საკითხის სწორად წარმართვაზე სატყეო მეურნეობაა პასუხისმგებელი. შეიძლება ჩვენს სახერხებზე ნახევარფაბრიკატების დამზადება. ამის ნედლეული არსებობს. მთავარია ვეძებოთ მისი გამოყენების გზები.

ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ მიმაჩნია **იმ ჭონების სწორად განკარგვა და პრივატიზება, რომლებიც ჯერჯერობით სახელმწიფოს კუთვნილებაა.**

--როგორია ჩვენი საინვესტიციო კულტურა და რამდენად აირეკლება იგი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში?

--საინვესტიციო კულტურა ბევრს ნიშნავს. ჯერ უნდა მოვიზიდოთ ინვესტორები, ამისთვის ჩვენ უნდა ვიყოთ მზად--ნოყიერი ნიადაგი შევუქმნათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი საინვესტიციო ანარეკლზე. ყველა ინვესტიციის უკან ხომ ადამიანი დგას. „ჰესის" მაგალითი ავიღოთ: შემოდიან უცხოელი ინვესტორები. იაპონური ფირმა ფულს იხდის, ფრანგული ფირმა კი სამუშაოებს შეასრულებს. თვითონვე უნდა ააშენონ სასტუმროცა და სასადილოც. ე. ი. იქაური ელემენტარული ინფრასტრუქტურა თვითონვე უნდა მოიწყონ.

--ტურიზმი?

--გეთანხმებით. ამ საკითხზე სტრუქტურულად უნდა შედგეს რაიონის პასპორტიზაცია. ლეჩხუმის ლანდშაფტი, გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული წარსული ჩვენი დამსახურება არაა. მთავარია, ყველაფერ ამას პატრონი მოვუძებნოთ, უკუგება მივიღოთ და ბოლოს და ბოლოს საქმეზე გადავიდეთ.

--ერთი გარემოებაცაა--თუკი ჩვენი რელიეფიდან და კლიმატიდან გამომდინარე საგადასახადო შეღავათები დაწესდება, ამით მეწარმე უფრო დაინტერესდება.

--რაკი საგადასახადო შეღავათები ახსენეთ--რას გვეტყვით ზოგადად საგადასახადო პოლიტიკისა და არსის შესახებ?

--ჩემი აზრით, თვით საგადასახადო კოდექსი და დაწესებული გადასახადი მაღალი პროცენტული განაკვეთებითაა განსაზღვრული. რამდენადაც მეტია გადასახადის ზღვრული დონე, მით მეტია დამალვის, მცდელობა. თვით კოდექსის აღსრულება საგადასახადო სამსახურებს ევალება.

--რას ნიშნავს წარმატებული ბიზნესი და საერთოდ თუ არის რაიონში იგი, თუნდაც მცირე? რა როლი აკისრია თქვენი აზრით მცირე ბიზნესს ეკონომიკის წინსვლის გზაზე?

--მცირე ბიზნესიდან რაიონში მხოლოდ კერძო ინტერესების ბიზნესი დომინირებს. ვერ აკეთებენ ელემენტარულ გათვლებს, მუშაობენ სტიქიურად. ჩვენგან კონტროლის რეალური საფუძველს კანონმდებლობა არ იძლევა.

--რესპუბლიკაში მსოფლიო საკალუტო ფონდით არა ერთი გრანტი და ფინანსური დახმარება შემოდის. როგორ ლობირებს ეკონომიკური სამსახური აღნიშნულ დახმარებებს, რაც ჩვენის აზრით, ერთ-ერთი დიდი სიკეთეა რაიონის ეკონომიკის აღმავლობის გზაზე.

--ამ თვალსაზრისით რაიონში შემოდის გარკვეული პროგრამები.

--დააკონკრეტეთ!

--მაგალითად, გაეროს ეგიდით სასურსათო პროგრამით ხორციელდება სხვადასხვა მიკროპროექტები. ასეთი 7-8 პროექტია დღემდე შემოსული. სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ ხორციელდება სარაიონო კულტურის სახლის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ველოდებით სიახლეებს მუზეუმის რეაბილიტაციის თაობაზე და ა.შ.

--მიგაჩნიათ თუ არა, რომ რაიონის ეკონომიკურ სამსახურს შესწევს კომპეტენცია გამოძებნის ოპტიმალური გზები, იბრძოლოს ბიუჯეტის შევსებისათვის და აქედან გამომდინარე ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის?

--უნარი ნამდვილად შესწევს. ჩვენ ვართ მომსახურე რგოლი. რაიონის გამგებლის ერთ-ერთი მოადგილე, ბატონი რეზო მურცხვალაძე, უშუალოდ ამ დარგს კურირებს. გვეხმარება სხვა რგოლებიც--სტატისტიკის რაიონული განყოფილება, ფინგანი, საგადასახადო ინსპექცია, ბანკები ურთიერთშეჯერებულად თუ ჩამოვყალიბდებით და ერთმანეთს გვერდით დავუდგებით, შესაძლებლობა ნამდვილად არის. სახელმწიფოებრივი აზროვნების ეთიკის გარეშე არაფერი გამოვა. ვიმეორებ, ინტელექტი და კომპეტენცია არის, მთავარია გვერდით მოვლენებს მოვერიოთ.

--ძალიან კარგი. როგორია რაიონის ბიუჯეტის ცხრა თვის მაჩვენებლები?

--9 თვის საგადასახადო შემოსავლები განსაზღვრული იყო 464.3 ათასი ლარით, ფაქტიური მაჩვენებელია 369.2 ათასი ლარი, ანუ 79,5%. ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა 289.5 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, შესრულება 230,7 ათასი ლარით, რესპუბლიკური 174.8 ათასი ლარი, შესრულება 138.5 ათასი ლარი.

--საკუთარი საგადასახადო ბაზა როგორ გამოიყურება?

საგადასახადო ბაზა გარკვეულწილად არის, საგადასახადო კონტინგენტი განსაზღვრულია. 548 ათასი ლარით, თუ შესრულდა ჩვენთან 387.2 ლარი დარჩება, მაგრამ ამოღება გაჭირდება. ჩვენ ალბათ ერთი-ორი წელი მაინც დაგვჭირდება იმისათვის, რომ რაიონის ბიუჯეტი დეფიციტური აღარ იყოს.

--ვინ განკარგავს რაიონულ ბიუჯეტს? უფრო სწორად--ვის უჭირავს ოლიგარქია?

--ბიუჯეტის შესრულების საბოლოო ანგარიშს ამტკიცებს რაიონული საკრებულო, იმავდროულად მისი სარევიზიო კომისია ყოველკვარტალურად ამოწმებს ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერებას და იმასაც, მოდის თუ არა შესაბამისობაში ხარჯვა დამტკიცებულ ბიუჯეტთან.

--ვიდრე არ შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ ვიღაცამ რაღაცაზე პერსონალურად აგოს პასუხი, მთელი ეს რგოლია პასუხისმგებელი იმაზე, რომ არ შესრულდა მაჩვენებლები. თქვენ როგორ ფიქრობთ?

--პასუხისმგებელი გარკვეულწილად არის. გამგეობის რაიონულ სხდომაზე არის მრავალი შემთხვევა იმისა რომ ძალზედ მწვავედ დაისვა ამა თუ იმ ეკონომიკური რგოლის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი.

--ჭეყანა წალეკა კორუფციამ! თქვენ, როგორც ახალგაზრდა „ჩინოვნიკი" ანუ სახელმწიფო მოხელე, როგორ ფიქრობთ, მოვერევით კორუფციას?

--ჩვენს პრეზიდენტს დავესესხები, რადგან მასზე უკეთ ვერაფერს ვიტყვი ალბათ: ვერ დავამარცხებთ კორუფციას--არ გვექნება სახელმწიფო.

--როგორია მამუკა ლეთოდიანის, ეკონომიკური განყოფილების გამგის შრომის საზღაური? ალბათ მიზერული და მიუხედავად ამ საზღაურის ოდენობისა, ბევრ თქვენს თანატოლს ეს თანხაც ოცნებად გადაქცევია, ანუ შეკითხვა: როგორ უყურებთ რაიონის ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემას?

--ეს საკითხი რეალურად გადაუწყვეტელია. რაკი არაფერი მუშაობს, მუშა-ხელიც არავის სჭირდება. ამ საკითხზე მონიტორინგი რომ ჩავატაროთ, აბსოლუტური უმრავლესობა დაუსაქმებელი აღმოჩნდება. დასაქმების შემთხვევაშიც კი ანაზღაურება ვერ უზრუნველჰყოფს ელემენტარულ საარსებო მინიმუმს. თუმც მიწა გადაეცა კერძო საკუთრებაში, მაგრამ შემოსავალი ძალზე მცირეა და შედეგიც ლოგიკური--ახალგაზრდობა გარბის რაიონიდან.

--ჩვენ, ასე თუ ისე, შევეცადეთ ჩავწვდომოდით თქვენი სამსახურის სპეციფიკას და რომ თავი დავიზღვიოთ დილეტანტიზმისაგან--იქნებ როგორც ეკონომისტს, გაქვთ რაიმე დასამატებელი ან სათქმელი?

--თქვენგან დასმულ თუნდაც ერთ შეკითხვას სრულყოფილად და ამომწურავად რომ გავცეთ პასუხი, ამას გაზეთის ყველა გვერდი არ ეყოფა. ყოველისმომცველი ინფორმაციის მიწოდება საგაზეთო მასალით ფაქტიურად შეუძლებელია.

***

ეკონომიკური სფეროს ლაბირინთებს თავი დავაღწიეთ. რესპონდენტიც დავღალეთ და მკითხველიც. აქვე გულახდილად გეტყვით: მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა სრულად წარმოგვეჩინა რაიონის ეკონომიკის დღევანდელი სახე და მისი სამომავლო პერიპეტიები, როგორადაც არ უნდა გაგვიგოთ, ძირ-

გაგრძელება გვ. №3 ⇨ ⇨

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჰიპოკრატეს ფიცის“ ერთგული მედიკოსები... თავსმოხვეული პრობლემებით

დაგვეთანხმებით, დღევანდელ პირობებში არ არსებობს სფერო, რომელსაც აუარებელი პრობლემებით გარშემორტყმულთ ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდეს. ყველაზე მეტად კი ამას მედიკოსები განიცდიან. დავინტერესდით და კონკრეტულად შევეხეთ სფეროს, რომელსაც ანალოგი არა ჰყავს. ძალიან ბევრი ჩვენი თუ სხვისი ახლობელი გამხდარა ავად, სიავადმყოფის კარებთან შიშით გულგახეთქილი დგანან პაციენტის გამოჯანმრთელების მოლოდინში. ყველაზე მეტად კი იმ კარებს მიმა მდგარმა თეთრხალათიანებმა იციან გამოჯანმრთელების, გადარჩენა–არგადარჩენის ავკარგი, მიზეზი, დასაწყისი და დასასრული. მათი მისამართით საქებარიც ბევრი გვსმენია და საყვედურიც. მოკლედ, ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ცაგერის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს ბატონ მურმან თოთაძეს ვესტუმრეთ.

—ბატონო მურმან, რაიონის დეპუტატთა და რაიონის საფინანსო განყოფილების გამგესთან მედიკოსების შეხვედრისას ბევრი გადაუდებელი პრობლემა გამოიკვეთა რამდენიმე თვე გავიდა. ყველა პრობლემის არა, მაგრამ მინიმუმის მოგვარება მაინც შეიძლებოდა. დიქტაფონი ჩართულია... გისმენთ...

—პრობლემა მართლაც უამრავია და მათი ჩამოთვლა შორს წაგიყვანს, მაგრამ თქვენს მიერ ნახსენები გადაუდებელი პრობლემებიდან, თითქმის გადაწყვეტილია რენტგენის აპარატის საკითხი, გადაწყვეტის ფაზაშია საავადმყოფოს ძველი კორპუსის შეკეთების საქმე, ვფიქრობთ უახლოეს მომავალში კიდევ მრავალ პრობლემას მოვაგვარებთ.

—როგორც ვიცით, რაიონის ზოგიერთ სოფელში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე აღდგა საფერშლო, საბაბიო პუნქტები, ხომ არის შესაძლებელი ანალოგური ობიექტების გახსნა (აღდგენა) ყველა სოფელში.

—რაიონის გამგეობის გადწყვეტილებით რამდენიმე სოფელში მართლაც აღდგა საფერშლო საბიბიებო პუნქტები. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე. რაც ალბათ შესაძლებლობის მაქსიმუმია, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ რაიონში აღდგენილი იქნა ყველა საექიმო ამბულატორია ერთი ექიმისა და ერთი მედდის შტატით, დაფინანსებაც სოლიდურია, ჩვენი ზემდგომი მომავალი წლიდან გვპირდება რამოდენიმე საფერშლო–საბაბო პუნქტის აღდგენასაც. პირადად მინისტრმა ჩვენთან შეხვედრის დროს დეპუტატს აღუთქვა, რომ ცაგერის რაიონი მოხვდება იმ ათ რაიონს შორის, ვისაც სრულად დაფინანსებს ჯანდაცვის სამინისტრო, ე. ი. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურება იქნება უფასო.

—ბატონო მურმან, მთლად ხელისუფლების იმედად ყოფნა და მათზე ყველაფრის გადაბრალება ალბათ მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. გვახსოვს ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საავადმყოფოს პირველადი სასწრაფო დახმარების მანქანა არ ჰყავს, არა და რომანტიკოსთა მსგავსად გონებაში ახლო წარსული „მოვქექე“ და აღმოვაჩინე მშვენიერი ავტობარკი, მატერიალური ბაზა. თუ კი ამ ბაზის ნაშთი მაინცა შემორჩენილი, რა ბარიერი ეღობება, თუნდაც ერთ პუნქტს ემსახურებოდეს სასწრაფო დახმარების მანქანა?

—ადრე არსებული სამპეკავტომეურნეობა იყო დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც მომსახურებას უწევდა როგორც საავადმყოფოს, ისე პოლიკლინიკას, ამბულატორიებს, საუბნო საავადმყოფოებს და სანიტიდადგურს. ამჟამად მეურნეობა თავის ავტობაზით გადაცემულია ქონების მართვის განყოფილებაზე საპრივატიზაციოდ, ხოლო საავადმყოფოს ამჟამად თავის ბალანსზე ჰყავს სამი ერთეული უაზის ტიპის ამორტიზებული ამტომანქანა. მათი აღდგენა სოლიდურ სახსრებთანაა დაკავშირებული, რისი საშუალებაც ჩვენ არ გაგვაჩნია. გამგეობისა და საკრებულოს გადწყვეტილებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამის მოსაგვარებლად უნდა მიგვეღო 3300 ლარი, თუმცა ჯერჯერობით თანხის გამოყოფა ვერ მოხერხდა.

ერთი სიტყვით, როგორც მთავარი ექიმი თვლის პრობლემა, რომელიც გადაჭრილად ჩათვალა, რენტგენის აპარატი და ძველი კორპუსის რემონტია, რაც შეეხება სასწრაფო დახმარების მანქანას: საფინანსო განყოფილების გამგემ შეხვედრისას აღნიშნა, რომ დარჩენილ თვეებში გვინის შესრულების დიდი იმედი აქვს და მოახერხებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასწრაფო დახმარების მანქანისათვის თანხის გამოყოფას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 10 თვე ამისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ლოგიკურია და ნაკლებად იმედიანი იქნება დარჩენილი ერთი თვე, რომ მოხდეს სასწაული პრობლემის მოწესრიგებისათვის.

—საავადმყოფოს ძველ კორპუსში შესულს (განსაკუთრებით თუ ახალი შენობიდან შედისართ) თავი ჯოჯოხეთში გეგონება, აუტანელი დისკომფორტია. რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით?

—როგორც მოგახსენეთ ძველი კორპუსის კაპიტალური შეკეთების საქმე გადაწყვეტის ფაზაშია, ვფიქრობთ მომავალ წელს შეძლებთ პრობლემის მოგვარებას, ისე ჩვენი მწირი ბიუჯეტის ფონზე აღსანიშნავია, რომ შევძელით ქირურგიული განყოფილების ბაზაზე ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის პალატის მოწყობა, შესახვევისა და საპროცედურო ოთახების შეკეთება, ზოგიერთ სამედიცინო ინვენტარის შემოტანა, ამაში წვლილი ადგილობრივ ბიუჯეტსაც მიუძღვის.

—კადრებზე რას იტყვით, გაქვთ თუ არა ამ მხრივ პრობლემები?

—რა თქმა უნდა, კადრებით არ ვართ სრულყოფილად დაკომპლექტებული, მაგრამ ეს პრობლემას თითქმის არ გვიქმნის, მოკლედ გეტყვით ჩვენს ექიმებს შეუძლიათ ნებისმიერ რთულ სიტუაციას გაართვან თავი, რისი არაერთი მაგალითიც გვქონია... ამჟამად ექიმთა 95 % სერტიფიცირებულია.

—პაციენტები ყოველთვის კმაყოფილნი არიან და მადლიერებასაც გამოთქვამენ თქვენი ლაბორატორიის მიმართ, თუმცა მავანნი იმასაც ამბობენ (უსაფუძვლოდ რომ ვთქვათ) „მწუთხე ფასებიაო“ ამაზე რას გვეტყვით?

—ჩვენი ლაბორატორია მართლაც, რომ ერთ–ერთი საუკეთესოა მხარეში, რაც ნამდვილად გვეხმარება დიაგნოზის დასმასა და ავადმყოფის მკურნალობაში. რაც შეეხება ფასებს, ასეც შემთხვევაში არ სცილდება სახელმწიფო სტანდარტულ ფასებს, პირიქით, ფასები სტანდარტულზე გაცილებით დაბალია. აქვე განვმარტავ, რომ სტაციონში მწოლიარე ავადმყოფისათვის ანალიზები უფასოა.

—რომელი ავადმყოფები ექვემდებარებიან სახელმწიფო დაფინანსებას და როგორ არის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ფასი?

—ფასები განსაზღვრულია სახელმწიფო სტანდარტებით, ხოლო სამედიცინო მომსახურება უფასოა, 0–დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ორსულებისა და უმწეო კატეგორიის მოქალაქეებისათვის. (პოლისის მფლობელები) 50%–ით ფინანსდება სიცოცხლისათვის საშიში (მწვავე) დაავადებები.

მთავარ ექიმს რომ მანქანა უნდა ემსახურებოდეს უცხო და კასკადური არავისთვის უნდა იყოს, მაგრამ ბატონს მურმანს აღნიშნა, რომ ასეთ სიტუაციაში, როცა საავადმყოფო სასწრაფო დახმარების გარეშეა და დაწესებულება უამრავი ფინანსური პრობლემების წინაშეა ამ შემთხვევაში მანქანა ზედმეტ ფუფუნების საგნად მიაჩნია.

—ზამთრისათვის როგორ ემზადებით? შუშა ისევ ავადმყოფმა უნდა მოიტანოს?

—უკვე შემოტანილი გვაქვს 30 მ³ შეშა, რაც საკმარისი არ არის. ვფიქრობთ კიდევ 20 მ³–ის შემოტანას, თუმცა არც ეს იქნება სრულყოფილი, წარმოიდგინეთ 50–60 %–იანი დატვირთვის შემთხვევაში საჭირო იქნება 70–80 მ³. ამის შესაძლებლობა კი ნამდვილად არ გვაქვს.

—ყვების საკითხი როგორ დგას საავადმყოფოში?

—ეს ერთ–ერთი პრობლემაა, საავადმყოფოში ყვება ამოღებულია, მე და ჩემს კოლეგებს გვაქვს გარკვეული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, იმედი მაქვს პრობლემას მოვაგვარებთ.

—სამინისტრო არც მედიკამენტებით გამარაგებთ?

—არა, ცენტრალიზებულად სამი წელია არაფერი მიგვიღია.

—საინტერესოა ერთი ექიმის საშუალო ხელფასი.

ხომ არ უწყობთ ხელს ექიმს „ჰიპოკრატეს ფიცს“ ულალატოს და არსებობისთვის იბრძოლოს?

—ექიმის საშუალო ხელფასი საავადმყოფოში 40–50 ლარია. მედდის 25–30, რაც დამეთანხმებით ძალზედ მცირეა. თანაც დღეის მდგომარეობით აუღებელი გვაქვს 13 თვის ხელფასი. მიუხედავად ამისა ჩვენთან ვერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამისთვის პაციენტი „დასჯილიყოს“. ყველა მედიკოსი პირნათლად იხდის თავის ვალს. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანებთან ერთად მიწევს მუშაობა.

—როგორია მთავარი ექიმის ტვირთი?

—ტვირთი საკმაოდ მძიმეა, პასუხისმგებლობა ძალზე დიდია. მე ვთვლი, რომ სამსახური იგივე ოჯახია, მისი ყველა წევრის სიხარულისა და ტკივილის თანამონაწილე ვარ. ვცდილობ მაქსიმალურად დავიხარჯო.

—თქვენ გარდა შპს. რაიონული საავადმყოფოს დირექტორისა ხართ საკრებულოს წევრი და დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი.

რას მივაწეროთ, რომ პრობლემები პრობლემებად რჩება?

—მართალია, საკრებულოს წევრი ვარ, ვწუხვარ, რომ ამ ორგანომ თავისი ფუნქცია სრულად ვერ შეასრულა, თუმცა ჩვენი დარგის მიმართ საკრებულოს მიდგომას განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დადებითად ვაფასებთ, რაც შეეხება დეპუტატს მაქსიმალურად ცდილობს გვერდში დგგიდგეს და ზემოთ აღნიშნული პრობლემები გადაგვაწყვეტინოს.

—თანამდებობა ხომ არ გიშლით ხელს წმინდა პროფესიულ საქმეში ანუ როგორ უთავსებთ ერთმანეთს თანამდებობრივ დატვირთვას და პროფესიას?

—ძირითადად დატვირთვა მაინც თანამდებობრივია, პროფესიული საქმიანობისათვის შედარებით ცოტა დრო მრჩება, მაგრამ ვცდილობ ჩემს პაციენტს არაფერი დაკლდეს. ვფიქრობ ექიმისათვის მთავარი მაინც პროფესიაა და არა თანამდებობა.

—როგორია თქვენი სამუშაო დღე?

—სამუშაო დღე იწყება დილის კონფერენციით, სადაც მორიგე ექიმი აბარებს პატაკს განვლილი დღის ინფორმაციით, კვირაში ერთჯერ შემოვლაა სტაციონში, დანარჩენ დროს საჭიროების მიხედვით წინასწარ ვერც დაგეგმავ. საჭიროების მიხედვით.

—რა გაღიზიანებთ ადამიანებთან ურთიერთობაში?

—უსამართლობა, ამპარტავნობა, ტყუილი...

—კომფლიქტური თუ ხართ?

—არა. წონასწორობიდან ძნელად გამოვდივარ, თუმცა ამ ბოლო დროს მოჩხუბარიც გავხდი.

პარადოქსია ისეთი მშვიდი ადამიანი, როგორიც ჩვენი რესპონდენტია „მოჩხუბრის“ ამპლუაში წარმოვიდგინოთ.

—რამდენად პრინციპული ადამიანი ხართ?

—გაჩნია, თუ საქმე საერთო საქმეს ეხება. ისე ზედმეტი პრინციპულობა ზოგჯერ სივიუტეს ემსგავსება რასაც არ ვაფასებ.

—ბოლოს როგორ გესახუთათ საავადმყოფოს მომავალი?

—მე ვთვლი, რომ რაიონული საავადმყოფო ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია და მას მეტი ყურადღება და სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება. მომავალი პერსპექტიულია. აქ შერწყმულია ძველი და ახალი თაობა. მატერიალურ–ტექნიკური ბაზაც ნორმალურია. რაც შეეხება ფინანსურ შესაძლებლობებს დღეის მდგომარეობით სამინისტროს, სამედიცინო დაზღვევის კომპანიას, მუნიციპალურ ფონდს, ადგილობრივ ბიუჯეტს და პაციენტებს აქვთ საავადმყოფოს ვალი 90 ათასი ლარის ოდენობით. ეს არის ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფასური და მისი გადახდის შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული პრობლემებიც აღარ იარსებებს და სამედიცინო მომსახურების დონეც მკვეთრად გაუმჯობესდება.

კოვერნარეს უთქვამს: „საათის ღირსება ის კი არ არის, რომ გარბის, არამედ ის, რომ სწორად მუშაობს“. ჩვენი რესპონდენტი ბატონი მურმან თოთაძე ფიქრობს, რომ ადამიანი მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს თავისი საქმით, სხვაგვარად, მხოლოდ არსებობას რა ფასი აქვს. მას ღრმად სწამს, რომ პიროვნებამ თავისი ვალი ამ ქვეყნად სწორედ, თავისი საქმით უნდა მოიხადოს. ბატონი მურმანი მიუხედავად მრავალი სირთულეებისა მაინც ახერხებს მოუაროს თავის „დიდ ოჯახს“ და თითოეული წევრის სატკივარი გაითავისოს.

ეკა ყვირილიანი
ეკა გენდელიანი

ჩემში ენერგია და ძალაა, ვსდილობ სიჯეთეში დავხარჯო

№2 გვერდიდან ⇨ ⇨

ფასო მკითხველო, ჩვენთვის მთავარი იყო პიროვნება, მამუკა ლეთოდიანი—პეწიანი, მოწესრიგებული, მუდამ დელიკატურად მოაზროვნე და პერსპექტიული.

კარგა ხანია მამუკას პერსონას „უშიროების გამოცდილი აგენტის“ თვალით ვცხრილავთ. საბედნიეროდ, იგი ჩვენს თვალში დღითიდღე ქულას ქულაზე იწერს. მისი ნამდვილი პორტრეტის უკეთ დასახატად რამდენიმე ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული და გნებავთ, რომანტიკული შეკითხვაც მივეცით:

—და მაინც—ვინ არის მამუკა ლეთოდიანი?

—(ამ კითხვაზე პასუხების გაცემა მას ძალიან უჭირს. გვესმის, რომ თავისთავად ძნელია ამ შეკითხვას უპასუხო. ამას მამუკას თავმდაბლობა და მორიდებული ხასიათიც ერთვის).

—შენი ცხოვრებისეული კრედო.

—ყოველთვის ვცდილობ მეტი რამ შევიძინო ღირებული და ფასეული. მინდა ჩავწვდე ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას. უმეტესად ადამიანების ინტერესებიდან გამოვდივარ და ამის გამო ხშირად დავზარალებულვარ მატერიალურად, სულიერად არასოდეს. ვცდილობ გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვა. „ჭეშმარიტების დადგენა სამშობლოს სიყვარულზე მეტიაო“. მეც ყველაზე რთული პრობლემა ჭეშმარიტების დადგენა მგონია. ვცდილობ, ჯერ ეს დავადგინო და შემდეგ შევხედო მთელ სამყაროს.

—როგორია თქვენი შინაგანი სამყარო—შეუვალი, იდუმალებით სავსე, ადამიანებს რომ ნაკლებად უშვებს თუ?..

—ჩემი ფიქრი, ინტელექტი ახლობლებისთვის გახსნილია, ვარ კომუნიკაბელური. ჩემი ე. წ. „მოძღვარია“ დეინ კარნეგის „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიმოქმედოთ ადამიანებთან“. როგორც მეუბნებიან, არ მიჭირს ადამიანებთან ურთიერთობა, პატივს ვცემ ყველა პროფესიის ადამიანებს, მაგრამ განსაკუთრებით იურისტებსა და ჟურნალისტებს. მათთან უფრო ადვილად ვახერხებ ურთიერთობებს.

(მამუკას არც ჩვენთვის დაავიწყდა კომპლიმენტი).

—ოჯახზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია. თქვენი აზრი!

(მივხვდით, რომ როგორც იტყვიან „მაზოლზე დავადგით ფეხი“.).

—ქართულ მენტალიტეტში ოჯახი უმთავრესია. მოხვდით მიზანში, მოხვდით! (ეღიმება). ყველაფრის ეკონომია შეიძლება, დროის სამწუხაროდ არა. ყველაზე მეტი შეფასება დროს სჭირდება. ვერ მოვთავსდი დროში—დაგვიანებული ვარ. ოჯახის შექმნის მთავარ და ამოსავალ წერტილად სიყვარული მიმაჩნია, შემდეგაა დანარჩენი ყველაფერი. ეკონომიკურ ასპექტში მამაკაცი ძლიერიც უნდა იყო, მცოდნეც და რაღაც კაპიტალის მფლობელიც.

—გაზეთ „ასავალ-დასავალს“ აქვს ერთი საინტერესო რუბრიკა—„მე რომ პრეზიდენტი ვიყო!“ შენ რომ პრეზიდენტი იყო მამუკა? (ძალიან შორს წაგედით).

—მაგაზე ვერ გიპასუხებთ.

—გიტაცებთ კარიერა?

—დამსახურებულად თუ მივიღებ, მაშინ შესაძლებლობების ზღვარის მოსინჯვა ნამდვილად შეიძლება.

—რა მამაკაცურ ღირსებებს გამოყოფდით?

—ვაჟკაცური სიკეთის კეთების უნარს!

—მამუკა ლეთოდიანის ერთი ჩვეულებრივი დღე.

—ვცდილობ, დილიდანვე ფსიქოლოგიურად მომზადებული გამოვიდე. ყველას თავისი მივაგო. არაფერი გამომრჩეს. ჩემში ენერგია და ძალაა, ვცდილობ სიკეთეში დავხარჯო. ყოველდღიური რუტინა პლუს მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, თუმც, ცუდად არ გამიგოთ—სრულყოფილებაზე პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს.

(პასუხი მოვისმენთ და ერთმანეთს გაკვირვებულებმა შევხედეთ... სამუშაო საათების შემდეგაც თითქმის დაკარიელებულ შენობაში მამუკა ზის და თავის მრავლისმეტყველ ციფრებთან, პარამეტრებთან, გამომთვლელ მანქანასთან დიდის ენერგიით, ინტერესითა და მოთმინებით მუშაობს. შემდეგ კი დახარჯული, ბოლომდე დაცლილი ტოვებს იქაურობას).

—გრძნობთ თუ არა თავს ბედნიერად?

—როგორ გითხრათ მაგალითად, პოეზიის კითხვა ბედნიერებაა, მაგრამ აბა ერთი სცადე და გაშიფრე. ბედნიერება მისხალ-მისხალ იქმნება. თვისება, რომ მავანს ბედნიერების სურვილი გაქვს, უკვე შინაგან სრულყოფილებებზე მიუთითებს.

—უარყოფითსა და დადებითს რას გამოყოფდით თქვენს პიროვნებაში?

—(დუმილი თითქმის სამი წუთის მანძილზე გრძელდება. ვერ გავერკვიეთ უარყოფითი თვისება ვერ აღმოაჩინა თავის თავში თუ...).

—ბავშვობიდან ზედმეტად მორიდებული ვარ.

(არის თუ არა ეს უარყოფითი თვისება თვითონვე განსაჯეთ).

—დადებითი!

—(ეს შეკითხვა მან უპასუხოდ დატოვა).

***

დიდი მეცნიერებაა გენეტიკა. ჩვენი რესპოდენტი ალექსანდრე ლეთოდიანის შვილიშვილია. იმ ალექსანდრე ლეთოდიანისა, რომელიც უფროსი და საშუალო თაობის ლეჩხუმელებს კარგად ახსოვთ. კაცი, რომელიც არა მარტო ფიზიკურად მოგხვდებოდა თვალში თავისი ახოვნებითა და ჩოხა-ახალუხით, თეთრი ყაბალახით, ასევე თეთრი, სპეტაკი თმებით, როგორც ტიპური ლეჩხუმელი ამშვენებდა და წარმოაჩენდა ლეჩხუმს. ერთხელაც თურმე გიორგი ახვლედიანის იუბილეზე ზეწამოიმართა ბატონი ალექსანდრე, რომელსაც ყანწით ხელში სიმბოლურად უნდა დაელოცა იუბილარი. მან თურმე თავამდე შეავსებინა ყანწი და ისე გულიანად დაულოცნია ღვინით სავსე ყანწი ხელში „შემოსცლია“.

აი, ასეთი იყო თურმე ბატონი ალექსანდრე—ნაღდი, ალალი და უტყუარი.

ამბობენ, მამის გენი შვილზე ისვენებს და შვილიშვილზე ილვიძებსო. ჩვენს შემთხვევაში ეს სხვაგვარადაა—ალექსანდრეს ნიჭიერმა გენმა შვილში, ბატონ ნუშარ ლეთოდიანშიც იჩინა თავი და შვილიშვილშიც.

მზევინარ ძნელაძე
ვარინა სვანიძე

რელიგიური თემა

მწყემსნი კეთილნი

ქრისტიანული სამყარო წმიდა წერილში ემსგავსება ვენახს, ისევე როგორც ძველად ისრაელი (ისაია 5-7). მოდით ვნახოთ, რას ეყრდნობა ვაზი?__ერთ გამხმარ უნაყოფო სარს. გამოაცალეთ ვაზს სარი, რტო მიწაზე ჩამოვარდება, ვეღარ მოიტანს ნაყოფს და ფეხით გაითელება. გამოაცალეთ ქრისტიანულ სამყაროს ბერ-მონაზვნობა ისევე, როგორც ვაზს გამხმარი, უნაყოფო სარი, და რა მოუვა სამყაროს?__თავად განსაჯეთ... შედარება უნაყოფო სარისა და ბერ-მონაზვნობის შესახებ იმათთვის დამჭირდა, ვინც უარყოფს სულიერ ფასეულობებს და მიიჩნევს მას არაფრის გულისათვის ყველაფრისაგან მოწყვეტას, უაზრო თვითგვემას, ყველა იმ სიკეთეზე უარის თქმას, რასაც ცხოვრება აძლევს ადამიანს. ასეთ ადამიანთა თვალთახედვის ისარი, „ძალზე მოკლეა", რადგან, „განმარტო რა არის მონაზვნობა, ისევე ძნელია, როგორც აუხსნა__რა არის სიყვარული__იმას, ვისაც არასოდეს განუცდია ეს გრძნობა".

მართალია, ჩემი მთავარი სათქმელი ეპარქიაში მომხდარი ცვლილებებია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ შედარება შემთხვევით არ მომიყვანია. ჩვენს ეპარქიაში ბერ-მონაზონთა ბუში ნამდვილად არაა (სამწუხაროდ), მათი რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია, არადა ესენი ის ადამიანები არიან, რომლებთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს მართლმადიდებლურ ცხოვრებაში.

აწ უკვე ცაგერისა და სვანეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი და ბოდბელი ეპისკოპოსო დავითი... ეპისკოპოსები თავიანთი ცხოვრებით ბერები არიან. ამ ადამიანებმა წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ეპარქიები შეცვალეს. მეუფე ნიკოლოზი აწ უკვე მთავარეპისკოპოსის ხარისხში ისევ დაუბრუნდა ცაგერს, მეუფე კი დიდი სიყვარულით" სითბოთი დაემშვიდობა „მშობლიურ" ეპარქიას. „მშობლიურს" იმიტომ, რომ მეუფე დავითი ეპისკოპოსობის მძიმე ტვირთს ამ ეპარქიაში ეზიარა. ბერული ღვაწლისათვის აუცილებელი ძვირფასი თვისებებით შემკული ეპისკოპოსი დავითი დიდი სიყვარულით, ცრემლით გააცილა მრევლმა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მან თავდადებული, ღვაწლით, რწმენითა და სიყვარულით აღსავსე მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი მრევლი დატოვა. მეუფე დავითის მკაცრი, ასკეტური ცხოვრება მართალია, ზოგჯერ გაკვირვებას, ზოგჯერ აღფრთოვანებას იწვევდა ჩვენში, მაგრამ ყოფილი მწყემსმთავარი თითოეულს აძლევდა მისდამი პატივისცემის გამოხატვის საშუალებას.

უმძიმესია მღვდელმთავრის ტვირთი, თუმცა შეიძლება უბრალო თვალმა ეს ვერ დაინახოს, რადგან უმეტესობა საგნებს მხოლოდ ვიზუალურად ვაფასებთ ხოლმე. მთელი სამწყოს სულიერი ტვირთი ეპისკოპოსს აწევს მხრებზე, რომელიც მან უხვად მონიჭებული ღვთაებრივი მადლით მთელი ცხოვრება უნდა ატაროს. წარმოიდგინეთ, ეპარქიაში მცხოვრები თითოეული ადამიანის სულზე ეპისკოპოსი პასუხისმგებელია. უზენაესის წინაშე. პარალელურად უსაზღვრო სიყვარულით, სითბოთი მიიღო მრევლმა მეუფე ნიკოლოზი, რომელიც ისევ დაუბრუნდა ეპარქიას. მის მიერ მცირე ხანში ჩვენში დანერგული თავდადებული ღვაწლი ისევ განაგრძობს გაასკეცებულ არსებობას.

ღმერთმა იმ გზით ატაროს ორივე მღვდელმთავარი და მათი სამწყსო, რომელიც მათ ზეციურ სასუფეველში მიიყვანს.

ეკატერინე ბენდელიანი

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

ჩვენი რელიგიური რუბრიკა ეძღვნება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულს, რომელსაც მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს 21 ნოემბერს ძველი სტილით, ეი. ახალი სტილით 4 დეკემბერს. თუ როგორ შეეძინათ მართალი იოაკიმს და ანას მარადის ქალწული მარიამი წინა ნომერში ვისაუბრეთ.

როცა მარიამს სამი წელი შეუსრულდა, მისმა წმიდა მშობლებმა ღვთისთვის მიცემული აღთქმის შესრულება გადაწყვიტეს. მათ ნათესავ-ახლობლებს მოუწოდეს, ყრმა მარიამი საუკეთესო შესამოსელით შემოსეს და წმინდა გალობით, ანთებული სანთლებით ხელში იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. აქ ღვთაებრივ ყრმას პირველმღვდელმთავარი შეეგება მრავალრიცხოვანი სამღვდელო დასითურთ. ტაძარში შესასვლელად თხუთმეტსაფეხურიანი კიბის ავლა იყოს საჭირო. ყრმა მარიამს კიბის ავლა თითქოს ვერ უნდა შეძლებოდა, მაგრამ როგორც კი იგი პირველ საფეხურზე დააყენეს, ღვთის ძალით სასწრაფოთ აიარა საფეხურები და ტაძარში შევიდა. შემდეგ იერუსალიმის მღვდელმთავარმა ყოვლადწმიდა ქალწული ზეგარდმო შეგონებით, წმინდათა წმინდაში შეიყვანა, სადაც წელიწადში ერთხელ ადამიანთაგან მხოლოდ თვითონ შედიოდა სამსხვერპლო სისხლით. ტაძარში მყოფი იუდეველები განცვიფრებულები იყვნენ ამ არაჩვეულებრივი მოვლენის გამო. მღვდელმთავარმა კი ყრმა მარიამი ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა ღმერთმა სახელი შენი. უკანასკნელ ჟამს შენს მიერ გამოიხსნას უფალმა ისრაელის შვილები". უზენაესმა თავისი მადლი მოჰფინა ბავშვს და შინისაკენ გაბრუნებულ მშობლებს მარიამი აღარ გაეტირა.

ყოვლადწვინდა ღვთისმშობლის წმიდათაწმიდაში შესვლის თაობაზე გრიგოლ პალამა წერს: „მიუხედავად მცირეწლოვანებისა იგი უკვე აღსავსე იყო ღვთაებრივი მადლით და სხივებზე მეტად ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს. თავისი თვისებით ამჟღავნებდა, რომ ის კი არ მიჰყავდათ ტაძარში, არამედ თვითონ, თავისი ნებით მიდიოდა ღვთის სამსახურისათვის."

მართალი იოაკიმ და ანა, მას შემდეგ რაც ზეციური მამის ნებას მიენდვნენ და თავიანთი ყრმა მას მიანდეს, შინ დაბრუნდნენ. ყოვლადკურთხეული მარიამი კი ქალწულთა სამყოფელში დარჩა, რომელიც ტაძარშივე მდებარეობდა. ტაძრის გარშემო მაშინ, როგორც საღმრთო წერილშიცაა მინიშნებული მრავალი სამყოფელი იყო, რომლებშიც ღვთის მსახურებად მიძღვნილი ადამიანები ცხოვრობდნენ.

საიდუმლოებითაა მოცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრება მისი სიყრმითგან ვიდრე ზეცად ამაღლებამდე. დაფარული იყო მისი ცხოვრება იერუსალიმის ტაძარში ყოფნის დროსაც. „მე რომ მკითხონ,—ამბობდა ნეტარი იერონიმე,—როგორ ცხოვრობდაო სიყრმე-სიჭაბუკეში ყოვლადწმიდა ქალწული, მე ასე ვუპასუხებდი: ეს ღმერთმა უწყის მხოლოდ და მთავარანგელოზმა გაბრიელმა, მოუცილებელმა მფარველმა მისმა".

მაგრამ საეკლესიო გადმოცემას შემოუნახავს ცნობები იმის შესახებ, რომ იერუსალიმის ტაძარში ყოფნისას ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი კეთილმსახურ ქალწულთა წრეში იზრდებოდა, საღვთო წიგნებს გულმოდგინედ კითხულობდა, ხელსაქმითაც ხშირად იყო დაკავებული, განუწყვეტლივ ლოცულობდა და ღვთის სიყვარულით სულდგმულობდა. ამგვარმა სიყვარულმა მას მარადიული ქალწულობის აღთქმა დაადებინა. მისმა უბიწო ცხოვრებამ, სულისა და ხორცის სიწმინდემ, ღვთის მადლით იგი ევას ცოდვის გამომსყიდველად, უკვდავების გზის ანუ მაცხოვრის დედად აქცია, მას შემდეგ, რაც თოთხმეტი წლის მარიამი უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს ჩააბარა.

ყველა მართლმადიდებელს ვულოცავთ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულს. სულიერად და ხორციელად ჯანმრთელობს გფარავდეთ დედა ღვთისა.

P.S. შეგახსენებთ, რომ ვინც აღვნიშნავდით ქრისტეშობის დღესასწაულს 28 ნოემბრიდან 7 იანვრამდე შობის მარხვა განწესებული, მართლმორწმუნენო! სულით ძლიერნი, ლოცვით, მარხვით, სინანულით, სიყვარულით გავხდოთ თითოეულმა ჩვენგანმა კარი ქრისტეშობას.

დეგიუტი

***

ნინო დაშნიანი ცაგერის საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა, საოცრად მორწმუნე და ხალასი ნიჭის პატრონი. მიუხედავად მისი ასაკის სიმცირისა)ის მხოლოდ 12 ...წლისაა(, მის ნაწერებსა და ნახატებში ღრმა და შეუცნობელი სამყაროს ლაბირინთებს შეეხებით, ხანდახან სვდაც შოეძლება.. და ისევ ფუნჯი და ისევ კალამი.

ლალი ლეთოდიანის გარდაცვალებამ მძიმე დაღი დასვა ნინოს. მან მასწავლებლის ხსოვნას ი ეს ნახატი და ჩანახატი უძღვნა.

დღეს, ჩვენ გაზეთში ნინოს დებიუტი შედგა, სამწუხაროდ, სევდიანი დებიუტი.

***

მე თუ მკითხავ, დრო სასტიკი და უსამართლოა, ჩვენ დროის სათამაშონი ვართ, ის სათამაშონი, რომელთაც არ გაგვაჩნია საკუთარი ძალები.

უსამართლოა დრო-, უსამართლო__იტყვის კაცი, როცა სრულიად მოულოდნელად და დაუკითხავად მოსტაცებს მისთვის ძვირფას ადამიანს, მაგრამ დროც ხომ სიცოცხლის შვილია, ის უბრძანებს მას ყველაფერს, თუმცა სიცოცხლე განა დასაბამია? დასაბამი და დასაწყისი მხოლოდ ღმერთია. მას კი ნამდვილად უნდა დავემორჩილოთ, მის იქით ხომ გზა აღარაა. მაშასადამე, უნდა შევურგდეთ დროს, და თუ დავემდურებით, ეს ღვთის რისხვა იქნება.

ცხოვრება კიბეა. ამ კიბის საფეხურები ერთმანეთისაგან ძლიერ დაცილებულია. ამის გამო ზოგი კიბის შუიდან ვარდება, ზოგიც კიბის თავიდან, ცოტა თუ აღწევს უკანასკნელ საფეხურს.

ჩემთვის მონატრება ყველაზე დიდი ტანჯვაა, რადგან შიშის, შიმშილის თუ ტკივილის დროს აუცილებლად მოინახება გამოსავალი, მაგრამ რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც უსაზღვროდ ენატრება?!...

ლალი მასწავლებელი მე მიფარდა ადამიანობით, ქალობით, დედობით და რაც მთავარია მამულიშვილობით. მამულიშვილობით__ეს სიტყვა შემიძლია ვთქვა ამაყად, რადგან ის ამას ამყლავნებდა ყოველ გაკვეთილზე. როცა გაგვიჭავრდებოდა, გაჭავრება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ღიმილი მოერეოდა. ეს კი ლმობიერების, მოალერსების, სათნოების, უღრმესი სიყვარულის, დიდი სითბოს გამოხატულებაა. ეს ხომ უფრო მეტად ქართველს შეუძლია და ახასიათებს.

ჩვენს კლასსა და ლალი მასწავლებელს შორის დიდი კავშირი იყო. ჩვენთვის სასიამოვნო იყო ლალი მასწავლებლის გაცნობა და ძალიან ბედნიერები ვიყავით, როცა მისი გაკვეთილი გვქონდა.

რაც დრო გადის, მით უფრო მახსენდება ლალი მასწავლებელი და მით უფრო იზრდება ჩემში მისდამი სიყვარული და მონატრება. თვალწინ მიდგას მისი ღიმილი, კარგად მახსოვს ჯერ ქუთუთოები შეეყრებოდა, მერე თვალები გაუბრწყინდებოდა და ბოლოს მაინც მოგვიბრუნდებოდა.

მე მენატრება მისი საუბარი, დარიგება, ღიმილი, სიარული, მოალერსება, მისი იმედითა და სიცოცხლით აღსავსე თვალები!

ლალი მასწავლებელო! ჩვენ წელს პირველად ავღნიშნეთ მასწავლებლის დღე, უთქვენოთ. მარადიული ნათელი არ მოკლებოდეს თქვენს ლამაზ სულს.

გწამდეთ არასოდეს ჩაქრება სინათლის სხივი, თქვენ რომ ასე ძალუმად აანთეთ ჩვენ გულებში.

ნინო დაშნიანი

„ცაგერის ბაზრობა"...ბაგა-ბაღში

„ყოველი მხრიდან შემოდიან ცაგერში ამ დღეს"... დაახლოებით ასეთ ბაზრობას ჰგავდა №2 საბავშვო ბაგა-ბაღის საჩქარო დარბაზი 14 ოქტომბერს. იქ, ღონისძიების სანახავად მისულ მაყურებელი ცოტა არ იყოს გაოგნებული დავრჩით__რა ხელმა მოზიდა ამდენი ნუგბარი, რა მონდომებით გაუკეთებიათ „ცაგერის ბაზრობის", ლადოსეულ ბაზრობის თითოეული დეტალი დახლიდან დაწყებული წითელთავსაფრიანი, წითელლოყება „სვანი" გოგონებითა და გალიებში „დატყვევებული" იხვით, ბატით, ინდაურით და ბაჭიებით დამთავრებული.

ბაგა-ბაღის უფროსი (შერეული) ჯგუფის პატარებს საშემოდგომო ზეიმი ჰქონდათ. (ბაგა ბაღის გამგე ქალბატონი ციცო მუშკუდიანი, აღმზრდელები იზოლდა ბობოხიძე და ნატო ბენიძე, მუსიკის პედაგოგი მზია ცხადაია). კულისებიდან ცნობისმოყვარედ გვიცქეროდნენ და ერთი სული ჰქონდათ სტუმრებისათვის თავიანთი შემოქმედების დემონსტრირება გაეკეთებინათ.

საშემოდგომო ლექსები, იუმორი, პატარებზე მორგებული, კარგად დახვეწილი სიმღერა და ცეკვა, მაყურებლის აღტაცებული შეძახილები, მშობელთა ცრემლნარევი თვალები. ეს ყველაფერი ძლიერ ლამაზი იყო.

ზეიმს სასიამოვნო ელფერი მისცა ხელმძღვანელი პირების სტუმრობამ, ღონისძიებას ესწრებოდნენ რაიონის გამგეები ბატონი ონერ ნემსიწვერიძე, გამგეების მოადგილეები პიერ ფუტკარაძე, აკაკი პირველი, განათლების განყოფილების გამგე გულივერ ბრეგვაძე, აგრომრეწვბანკის მმართველი ბონდო ჭაბუკიანი, პარლამენტის ბიუროს თავმჯდომარე ბატონი შალვა ცვარიანი და სხვა.

მოკლედ №2 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარებული საშემოდგომო ზეიმი ნამდვილად შედგა. გმადლობთ პატარებო, ბაგა-ბაღის მესვეურნო, მშობლებო ასეთი სასიამოვნო დღისათვის.

მარინა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწლი

ჭენია ასლანის ასული გელოვანი

„თქვენ შთამინერგეთ რუსული ენის სიყვარული და, თუ რაიმეს მივაღწიე, თქვენი წყალობით“,—წერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლეჩხუმის სახელოვანი შვილი გიორგი გოლეთიანი თავის ყოფილ მასწავლებელს ქენია გელოვანს.

ვინ იყო ქენია გელოვანი?

მომხიბვლელი სილამაზის ქალბატონს, განუყრელი ჩანთით ხელში, დიდი თუ პატარა, ნაცნობი თუ უცნობი, ქუჩაში მოკრძალებით ესალმებოდა. ისიც გაღიმებული სალმით პასუხობდა. სკოლაში მას მოსწავლეები და პედაგოგები ქენია მასწავლებელს ეძახდნენ. ჰეშმარიტად იგი ყველას მასწავლებელი იყო.

ამონაწერი მისი ავტობიოგრაფიიდან.

ქენია ასლანის ასული გელოვანი დაიბადა სოფელ სპათაგორში 1903 წელს, ექიმ ასლან გელოვანის ოჯახში. მას ლამაზი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა, მამის სახლში თავს იყრიდნენ კულტურული საზოგადოების წარმომადგენლები. ოჯახში ხშირად იმართებოდა თეატრალური დადგმები, იკითხებოდა ლექსები, ეწყობოდა შეჯიბრი ჭადრაკში, ცხენოსნობაში.

ქენიამ 1920 წელს დაამთავრა ქუთაისის ქალთა მეორე გიმნაზია. იმავე წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო ლაილაშის პირველ დაწყებით სასწავლებელში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1923 წლიდან მუშაობა გააგრძელა ცაგერის ცხრაწლიან შრომით სკოლაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ცაგერის პედტექნიკუმში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, 1938 წლიდან 1966 წლამდე—ცაგერის საშუალო სკოლის VIII-X კლასების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

მისი თავდადებული შრომა ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. 1959 წელს არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა პირველი ყრილობის დელეგატად, 1966 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. არჩეული იყო ცაგერის საპატიო მოქალაქედ.

ქენია გელოვანმა სახელოვანი, მაგრამ მეტად რთული ცხოვრების გზა განვლო. ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი წლები მისთვის დრამატული აღმოჩნდა. როგორც ზემოთ ვთქვით, 1920 წელს მან მუშაობა დაიწყო ლაილაშის პირველ დაწყებით სასწავლებელში, რომლის დირექტორი ერმილე გაბიანი გახლდათ. იგი გამორჩეული გარეგნობის, სპორტული აღნაგობის, სახემშვენიერი ყმაწვილი იყო, დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დირექტორს მაშინვე თვალში მოხვდა მომხიბვლელი სილამაზის და გარეგნობის ქალიშვილი. არც ქენია დარჩებოდა გულგრილი, მისი დირექტორისადმი, მაგრამ აქ თავი იჩინა წოდებრივმა პრობლემამ ტრადიციულად თავადი გელოვანის ასულის ხელის თხოვნის უფლება თავადიშვილს ჰქონდა. ერმილე თავადიშვილობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მისი მამა კალისტრატე გაბიანი, ფრიად განათლებული, 6 შვილის მამა იყო. (ყველას უმაღლესი განათლება რუსეთში მიაღებინა), დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, სასულიერო პირს წარმოადგენდა და ბლაღოჩინის მაღალ ტიტულს ატარებდა. ბოლოს სიყვარულმა იზეიმა. შესანიშნავი წყვილის შეუღლებას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მალე ერმილე ცაგერში გადმოვიდა სკოლის დირექტორად. შეეძინათ ორი ვაჟი.

საუბედუროდ ოჯახს თავს დაატყდა ტრაგედია. გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მძვინვარებდა პოლიტიკური რეპრესიები. დაიწყო ნადირობა „კლასობრივ მტრებზე“. კლასობრივ მტრად ითვლებოდა ყოფილი თავად-აზნაურების წარმომადგენლები. უცხოეთში ნასწავლი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლები, შეძლებული გლეხები, რომლებსაც მაშინ კულაკებს უწოდებდნენ.

„კლასობრივი მტრის“ გამოვლინებაში განსაკუთრებით კომკავშირლები აქტიურობდნენ. დაუწყეს დაბეზღება ერმილეს... იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური რაიონი და სამუშაოდ სიღნაღში გადავიდა. 1937 წლის ზაფხულში ცაგერში ჩამოვიდა ცოლშვილის წასაყვანად. ოჯახში მთელი დღე თადარიგში გაატარეს. მეორე დღეს, დილით უნდა გამგზავრებულიყვნენ. შუადღემეზე ოჯახს 4 შინსახკომელი დაესხა თავს. მძინარე ბავშვები წამოყარეს. ყველა კუნჭული გადაქექეს. ერმილეს უთხრეს, შინსახკომში უნდა წამოხვიდეთ ზოგიერთი საკითხის გასარკვევად. თან წაიღეს ძვირფასი წიგნები, ნაჩუქარი სანადირო თოფი, ლექციის ჩანაწერები. სახლში დატოვეს ცოცხალმკვდარი მეუღლე და აღრიალებული 12 წლის ოთარი და 8 წლის კუკური, ოთახიდან გასვლისას ერმილე ცოლშვილს დაემშვიდობა. ქენიას უთხრა: მართალი ვარ ღმერთისა და ხალხის წინაშე, არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, რაღაც გაუგებრობაა, იმედი მაქვს მალე დავბრუნდებიო. ამის შემდეგ იგი ცოლშვილს აღარ უნახავს.

თავმეხტეხილმა ქენიამ გადაწყვიტა შვილებით ერმილეს მამის კერიაზე, სირმეში წასვლა, მაგრამ ახლობლებმა გადააფიქრებინეს, ცაგერში დარჩენა ურჩიეს... თუ რა სულიერი დეპრესია და ეკონომიური სიდუხჭირე განიცადა „კლასორივი მტრის“ მეუღლემ, ამის წარმოდგენა მკითხველისთვის მიმინდვია.

„ამ მძიმე დღეებში დედას ერთი აუგი სიტყვა არ წამოსცდენია ხელისუფლების მისამართით არც შვილებთან, არც სხვასთან. ყველა გასაჭირს უდრტვინველად იტანდა. იცოდა რომ მას, როგორც „კლასობრივი მტრის“ ცოლს უთვალთვალებდნენ. შვილები ვგრძნობდით რა დღეში ჩავცვივდით. ჩვენც წყალი ჩავიგუბეთ პირში, ცუდი სიტყვა არ წამოგვცდენოდა. ამ მძიმე დროს დედის ავტორიტეტი ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი იყო“,—იგონებს ბატონი კუკური.

1956 წელს ქენია გელოვანს შინასახკომში იბარებენ, „გილოცავთ პატივცემულო ქენია, თქვენი ქმარი, ერმილე გაბიანი რეაბილიტირებულია. მას ყველა წაყენებული ბრალდება მოეხსნა. სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ იგი 1937 წელს დახვრიტესო“. ქენიას მკვდრის ფერი დაედო, ცრემლები წასკდა, მაგრამ მალე გონს მოეგო. მისი ქმარი გამართლდა. ამიერიდან მას „ხალხის მტრის“ ცოლის სახელი აღარ დატანჯავდა. მომდევნო დღეებში უშიშროების წარმომადგენელმა საიდუმლოდ გაანდო ვინ დაღუპა მისი ქმარი, და ერთერთი „ჩამშვების“ ჩვენება წააკითხა: „ერმილე გაბინაი კლასობრივი მტრის, მღვდლის შვილია, რუსეთში ეკონომისტის განათლება მიიღო. ჩვენ ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლის. ქება—დიდებას ასხამს ილია ჭავჭავაძეს, მის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე. ილია ხომ მემამულე იყო და სასტიკად ტანჯავდა ყმა გლეხებს, იგი კლასობრივი მტრების ინტერესებს იცავდა. ერმილე ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის ლექსებს გვიკითხავს, არასდროს არ წამოცდება დიდი ბელადის სტალინის სახელი. ღარიბების შვილებს ორიანებს გვიწერს და კლასში დატოვებით გვმუქრება. რა შეიძლება ეწოდოს ამნაირ მასწავლებელს, თუ არა კლასობრივი მტერიო.“ ამ ჩვენებას, საუბედუროდ მისი მოსწავლე, ოროსანი კომკავშირელი აწერდა ხელს.

ქენია მასწავლებელმა საფლავში წაიღო ქმრის დამღუპველთა ვინაობა. შვილებსაც არ გაუმხილა, მათი ოჯახები ცაგერში ცხოვრობენ, არ მინდა მათსა და ჩემს შვილებს შორის მტრობა ჩამოვარდესო.

ადამიანის ცხოვრების ყველაზე ლამაზ ასაკში, როცა სიცოცხლე გიხარია და შემოქმედებითი ძალები ზენიტს აღწევს, ამ დროს ქენია მასწავლებელს გულზე მძიმე ლოდივით აწვა „ხალხის მტრის“ ცოლის სახელი, მაგრამ მას ქედი არ მოუხრია, მისი ყოველდღიური ზრუნვა საკუთარი და ათასობით სხვისი შვილის აღზრდა და ცხოვრების ასპარეზისათვის დაფრთიანება იყო. ამიტომ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ მოკლებია სიყვარული და პატივისცემა არც მისი მოსწავლეებისაგან, არც საზოგადოებისაგან.

ამას ადასტურებს ის უამრავი წერილი, რომელიც გამოუგზავნეს და ახლა მის ოჯახში ინახება. მე მხოლოდ რამოდენიმე მათგანის მოკლე შინაარსს გაგაცნობთ (წერილების შინაარსი შემოკლებულია, სტილი დაცული).

„მოკრძალებული სალამი ქენია მასწავლებელს მიშასაგან, ჩემო ძვირფასო აღმზრდელო. ახლა მე ხაბაროვსკში, ჯარში ვმსახურობ, სულ თვალწინ მიდგას თქვენი კეთილი სახე. მახსენდება თქვენი დედობრივი მზრუნველობა. ქენია მასწავლებელო, მაპატიეთ, არ ვსწავლობდი, ახლა ვგრძნობ ჩემს შეცდომებს. რუსული ენა რომ მესწავლა, ასე არ გამიჭირდებოდა, გარცხვენდით ჩემი უხეირო ქცევით, მაგრამ გპირდებით ცხოვრებაში არ შეგარცხვენთ. ცოტა რუსულიც ვისწავლე, კარგი მძღოლი ვარ და რომ დავბრუნდები, ჩემს დანაშაულს ჩემი მასწავლებლების წინაშე გამოვისყიდი...“

ღრმა სიყვარულით და პატივისცემით მიშა... 13 ნოემბერი 1956 წელი.

„არავითარ ძალას არ შეუძლია დამავიწყოს ჩემი საყვარელი მასწავლებლები, განსაკუთრებით ჩემი ძვირფასი დამრიგებელი ქენია მასწავლებელი. თქვენ ჩამინერგეთ სწავლის სიყვარული... ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველი კარგი, რაც ჩემში, თქვენი წყალობითაა, ძვირფასო აღმზრდელო. თქვენი ნათელი სახე ჩირაღდანივით თან დამდევს და მინათებს ცხოვრების გზას...“ პატივისცემით ცირა ნემსაძე, 22 სექტემბერი, 1958 წ.

მისი განუყრელი მეგობარი ეკატერინე ჩაჩხიანი ბორჯომიდან, სადაც ის ისვენებდა წერს: „ჩემი მოჩხუბარო ასლანოვნა. ამ წუთებში რომ შემეძლოს შენი ხილვა, რამდენიც გინდა იმდენი მეჩხუბე, ისე მომენატრე.

შენ რომ არ იყო, ქარიშხალი არ იქნებოდა, შენი ქარიშხლიანობა კი აუცილებელია ჩვენი სკოლის ზოგიერთი პედაგოგისათვის. მდორე და უმოქმედო არაფერი და არავინ არ ვარგა, მით უფრო პედაგოგი. შენ იმისთვის გაჩენილხარ, რომ შენი დაუღალავი, მტკიცე ნებისყოფით აამოქმედო მთელი პედკოლექტივი... შენ იცი და მეშვიდე კლასმა. ხშირად დაარიგე შენებურად. განსაკუთრებით დათო და მეორე წლიანები მაწუხებს. გოგიძე თუ ღებულობს კიდევ ორიანებს? ხომ არ აგვიანებენ ბავშვები? ერთი სიტყვით შენებური მზრუნველობა არ მოაკლო ჩემს ბავშვებს... არ მეგონა თუ ასე მომენატრებოდა გაკვეთილი და ჩემი ბავშვები. წუხელ ვიფიქრე ნეტავ გეგმები მქონდეს დასაწერი... მარად შენი ეკატერინე ჩაჩხიანი, 8 მარტი, 1952 წელი.“

აი, როგორი მასწავლებლები ასწავლიდნენ მომავალ თაობას. ახალგაზრდობაში ქენიას და ეკატერინეს ერთნაირი მწარე ხვედრი ერგოთ წილად. 1937 წელს დაიჭირეს როგორც „ხალხის მტერი“ ეკატერინეს ქმარი, შესანიშნავი პედაგოგი კაპიტო ყურაშვილი. ეკატერინემ ვაჟკაცურად გადაიტანა გასაჭირი. მთელი თავისი უნარი და საშუალება შვილების ლელას და მაყვალას აღზრდას მოანდომა. იგი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ შვილებმა შესანიშნავი ოჯახები შექმნეს, რომელთაც დიდი სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურეს რაიონში და მის ფარგლებს გარეთ.

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი საშა ჩაკვეტაძე იგონებს: „როგორც დამწყებმა მასწავლებელმა 1947 წელს 20 აგვისტოს ფეხი შემოვდგი ცაგერის საშუალო სკოლაში. მთელი პედკოლექტივი მხარში ამომიდგა. დამაძლევინეს შიშიც და განცდაც. მაგრამ ქენია მასწავლებლის და კატუშა მასწავლებელის განსაკუთრებული დედაშვილური სითბო ახლაც თან დამყვება, სამწუხაროდ კატუშა მასწავლებელი მალე წავიდა ჩვენგან. ქენია მასწავლებლისგან ბევრი რამ ვისწავლე და თუ რამ კარგია ჩემში, ეს მისი სიკეთის ნაყოფიცაა“.

„26 წელი, როგორც რძალი, მასთან ერთად ვიცხოვრე. ქენია მასწავლებელი საკუთარ დედობას მიწევდა, ბავშვივით მეფერებოდა, მასწავლიდა, მამხნევებდა, მის ხელში ჩამომყალიბდი როგორც ქალი და მასწავლებელი. მისი სამყარო სკოლა იყო. სკოლისათვის და ბავშვებისათვის იღვწოდა და მათ სიყვარულში ჩაიფერფლა.“ გულთბილად იგონებს რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, ქალბატონი ლამარა დოლიძე.

ტერენტი გრანელს უყვარდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსის სიტყვების განმეორება: „ადამიანო, ემზადე სიკვდილისათვისო!“ ქენია გელოვანმა ცხოვრების სახელოვანი გზა განვლო. იგი ღომზადებული შეხვდა სიკვდილს, ზეციურ სამყაროში გადაინაცვლა და ჩვენ უკვდავი სახელი დაგვიტოვა.

შალვა ცვარიანი

12 ნოემბერი, 2001 წელი.

განგაში

ჯილეხი (ციმბირის წყლული) საშიში დაავადებაა

რა უნდა ვიცოდეთ ჯილეხის შესახებ? რა დაავადებაა ჯილეხი (ციმბირის წყლული) და რამდენად საშიშია იგი ადამიანისათვის?

ჯილეხი ანუ ციმბირის წყლული მწვავე ინფექციური დაავადებაა. ინფექციის ძირითადი წყაროა დაავადებული შინაური ცხოველი (განსაკუთრებით მსხვილი რქოსანი პირუტყვი). ადამიანის ორგანიზმში ჯილეხის გამომწვევი შეიჭრება დაზიანებუდი კანიდან, დაავადებული ცხოველის მოვლის ან მისი დაკვლის დროს. დაცემული ცხოველის გატყავების და დამარხვასას, დაინფიცირებული ხორცის, ტყავის ან ბეწვის დამუშავებისას. დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის შედეგად ავადდება ადამიანი და დროული და სათანადო მკურნალობის გარეშე შეიძლება განვითარდეს სიკვდილი.

როგორ შეძლება დაავადდეთ ჯილეხით? და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?

თუ დააპირეთ ცხოველის დაკვლა, აუცილებლად შეატყობინებთ ვეტექიმს და შემდეგ იმოქმედეთ მისი რეკომენდაციის მიხედვით.

თუ მოხდა თქვენი საკუთარი პირუტყვის უნებლიე დაცემა, ნუ შეეცდებით მის მოვლას და შეხებასაც კი თუ არ ჩაუყენებთ საქმის კურსში ვეტექიმს, მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს თუ როგორ მოიქცეთ ასეთ შემთხვევაში. ჯილეხის მიზეზით დაცემულ პირუტყვთან შეხებაც კი საშიშია დასნებოვნების თვალსაზრისით. განსაკუთრებით ხშირია ჯილეხით დასნებოვნება დაავადებული ცხოველის დაკვლა-გატყავების და ხორცის დამუშავების პროცესში.

შეგახსენებთ რომ, ჯილეხის გამომწვევი შეიძლება გადაეცეს მიწასთან კონტაქტითაც, ვინაიდან ჯილეხის მიკრობი ძალიან დიდხანს (წლობით) ინარჩუნებს თავის სიცოცხლის და დაავადების გამოწვევის უნარს ნიადაგში. განსაკუთრებით უნდა მოერიდოთ დაცემული ცხოველების სამარხების ტერიტორიას, რომელიც წესით უნდა იყოს შემოკავებული და უნდა ქონდეს სათანადო წარწერა.

შესაძლოა დაავადდეთ აგრეთვე ნაყიდ ხორცთან კონტაქტით ან საკვებად მიღებით. ამიტომ პირველ რიგში უნდა ეცადოთ რომ ხორცი იყიდოთ აგრარულ ბაზარში, ხორცის სარეალიზაციოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, და ყოველი შემთხვევისათვის ხორცის გამყიდველს მაინც მოსთხოვეთ ცნობა ხორცის კეთილსაიმედოობის შესახებ (უნდა ქონდეს აუცილებლად).

თუ მაინც მოგიწიათ ხორცის ყიდვა სხვა ტერიტორიაზე (მაგ. ტრასებზე, ქუჩებში, მასობრივი თავშეყრისა და სხვა ადგილებში) აუცილებლად მოსთხოვეთ ცნობა ხორცის კეთილსაიმედოობის შესახებ. პირუტყვს ხორცზე შეხებაც კი (განსაკუთრებით მიზნით) სახიფათოა ჯილეხით დაავადების თვალსაზრისით.

საშიშია აგრეთვე დაავადებული ცხოველის ტყავთან და ტანხორცის სხვა ნაწილებთანაც შეხება და განსაკუთრებით მათი დამუშავება.

ძალიან საშიშია! დაავადებული ცხოველის არასათანადოდ დამუშავებული ხორცის საკვებად მიღება, ამ შემთხვევაში სიკვდილი ვითარდება ძალიან სწრაფად.

თუ ცხოველი აცრილია ჯილეხის საწინააღმდეგოდ, და საკუთარი პირუტყვი კი აუცილებლად უნდა გყავდეთ აცრილი, მაშინ პირუტყვის დაავადების საშიშროება არ არსებობს.

როგორ უნდა მოიქცეთ თუ მაინც დაავადდით ჯილეხით?

თქვენი გაუფრთხილებლობის შედეგად მაინც დაავადდით, პირველ რიგში თუ თქვენი გაუფრთხილებლობის შედეგად მაინც დაავადდით, პირველ რიგში უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება მალე მიმართოთ ექიმს და დაიწყოთ მკურნალობა, დაგვიანების თითოეული დღე შესაძლოა გახდეს სიკვდილის მიზეზი, განსაკუთრებით თუ დაინფიცირება მოხდა სახის და კისრის არეში.

როგორ გავიგოთ ჯილეხით ვართ ავად თუ არა?

თუ მოხდა კანის დაინფიცირება ჯილეხის გამომწვევით, პირველი ნიშანიც გამოჩნდება კანზე, კანის უშუალოდ იმ ადგილზე სადაც მოხდა დაავადებული პირუტყვის ხორცთან თუ გამომწვევით დაბინძურებულ საგნებთან (მიწასთან) შეხება. კანზე გამომწვევის მოხვედრის ადგილზე წარმოიქმნება ჯერ ლაქა, რომელიც მოგვიანებით გადაიქცევა მოყვითალო-შავი ფერის შიგთავსის მქონე ბუშტუკად. ავადმყოფს აწუხებს ამ ადგილას ქავილი, ამის გამო ბუშტუკი სკდება და მის ადგილას წარმოიქმნება წყლული. ჯილეხის წარმონაქმნი ძალიან ჰგავს ე.წ. „ძირმაგარას“ მაგრამ მისგან განსხვავებით იგი უმტკივნეულოა, რის გამოც ხალხმა მას „ბედნიერი“ შარქვა.

კარგად გახსოვდეთ! არავითარ შემთხვევაში არ დაკლათ პირუტყვი ვეტექიმის გარეშე და არ იყიდოთ ხორცი, მისი კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი ცნობის ნახვის გარეშე.

დაავადებული პირუტყვის ტანხორცის განზრახ გაყიდვა მოქალაქეებზე ისჯება კანონმდებლობით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაბუკ „ტორპედოელთა“ სტუმრობა

8 ნოემბერს ცაგერის სტადიონზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი სპორტის გულშემატკივარი საინტერესო ღონისძიების მომსწრე გახდა. ადგილობრივმა „ხვამლმა“ მ. მესხის თასზე რეგიონალური პირველობის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში პრესტიჟულ მეტოქეს ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლა.

თამაშის დაწყების წინ იმერეთი რაჭა-ლეჩხუმის ფეხბურთის რეგიონალური ფედერაციის წარმომადგენელმა ბატონმა ვალერი მანაგაძემ ცაგერელ ჭაბუკ ფეხბურთელებს შარშანდელ ჩემპიონატში წარმატებული შედეგისათვის გადასცა ფედერაციის სიმბოლური საპატიო თასი და შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

მატჩი მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „ხვამლმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და 1:2 ანგარიშით დამარცხების მიუხედავად, გუნდის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქუთაისის ტორპედოს გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, გუნდის კაპიტანი ცაგერელი მიშიკო მეშველიანი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე გათამაშებაში გაცილებით ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი

გაიზარდა მონაწილეთა ბიოგრაფიაც, „ხვალის“ გუნდის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე შემდგომი დოსტატების მიზნით გადაყიდნენ ქ. თბილისის მოწინავე გუნდებში. ჩვენი გუნდი მაინც კონკურენტუნარიან გუნდად რჩება, რომელსაც ნათელი პერსპექტივები გააჩნია.

სასიხარულოა გამარჯვებები სოხუმის „ცხუმთან“ 6:2 ქუთაისი „კოლხიდა—96“-თან 5:1

ფრედ დამთავრებული შეხვედრები ძლიერ მეტოქეებთან ზესტაფონის „მეტალურგთან“ 1:1, სამტრედიის „ლოკომოტივთან“ 1:1, ქუთაისის „იმედი-2“-თან ან 1:1...

რაც წინაპირობაა მომავალი უფრო დიდი წარმატებებისა.

ხსოვნა

ზაქრო ლიპარტელიანი

ღვთის ნებაა ყოველივე. ალბათ, ასე გადაწყვიტა ბედისგამრიგემ--მესამე საუკუნის შესწრებოდა, აქედან უკან მოეხედა და უფრო ნათლად დაენახა წარსული თავის ქარტეხილებით, გზა, რომელიც გამოიარა და ასე შემზადებული და გულდამშვიდებული წასულიყო ამა ქვეყნიდან.

ზაქრო ლიპარტელიანი--ეს სახელი ლეჩხუმის უფროსი და საშუალო თაობის საზოგადოებაში ასოცირდება პატიოსნებასთან, მასწავლებელის სრულყოფილებასთან, ადამიანურ ღირსებასთან და სიკეთის ქმნასთან.

მოწიფული ვაჟკაცი გახლდათ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა. საბჭოეთის მთელ მანძილზე პედაგოგიურ სარბიელზე იღვწოდა. იყო ჩოლურის, ქულბაქის, აღვის ოთხწლიანი სკოლების გამგე-მასწავლებელი. 40-იან წლებში მუშაობდა ქვედა ცაგერის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, საიდანაც დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. ომიდან დაბრუნებული პენსიაში გასვლამდე ისევ მასწავლებლობდა, ქვედა ცაგერის ოთხწლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად მუშაობდა.

პირდაპირი კაცი იყო, უტყუარი, უღალატო, ცხოვრობდა საკუთარი პრინციპებით, ჰქონდა საკუთარი ხედვა. მისი ცხოვრების კრედო ახალგაზრდა თაობის აღზრდა და განსწავლა იყო.

ბოლოს, საბჭოთა იმპერიის დამსხვრევასაც შეესწრო. ღრმად მოხუცი პედაგოგი გულწრფელი სიხარულით შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. თუმცა რომ ელოდა, ისე ვერ აეწყო ყველაფერი. სოციალური პრობლემები არც მის ოჯახს აკლდა.

და ასე უჩუმრად წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი.

ცაგერის რაიონის
საკრებულო, ცაგერის
რაიონის გამგეობა.

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან და გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციად. „სამართლიანმა არჩევნებმა“ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ყველა დონის არჩევნების მასობრივი სამოქალაქო მონიტორინგის ტრადიციას.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (usaid) და საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის (noi) ფინანსური დახმარებით. რაიონული ორგანიზაციების გააქტიურების მიზნით „სამართლიანი არჩევნები“ გადავიდა ახალ, საგრანტო სისტემაზე.

ცაგერის რაიონულ ორგანიზაციას (კოორდინატორი: ალუდა სილაგაძე-) გამოეყო გრანტი წვევამდელთა უფლებების დაცვაზე. ჩვენი მიზანია წვევამდელთათვის ინფორმაციის მიწოდება, მათ უფლებებსა და მოვალეობებზე, საზოგადოებრივი საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება, მათი უფლებების დაცვა...

ჩვენს ერთ-ერთ ძირითად მუშაობის გეგმას წარმოადგენს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოქალაქეების შეუძლიათ მოგვმართონ ცაგერის რაიონულ ოფისში: თამარ მეფის ქუჩა №16.

ცაგერის რაიონის
კოორდინატორი:
ალუდა სილაბაძე.

გილოცავთ

სოფიკო ცვარიანს! დათო გუგავას გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ღმერთმა მწვანე შუქით მოფენილ გზაზე გატაროთ თქვენს პაწიასთან ერთად.

მარიკა, რომეო მანდარიები, სოფო, მალხაზ ირემაძეები.

ლედი ყურაშვილს ზაურ ბენიძეს! გილოცავთ მარიკას ბედნიერებას.

ნური ხეცურიანი ოჯახით

ციცო და ალექსანდრე ცვარიანებს სოფო და დათო გუგავებს გილოცავთ ვაჟიანობას!

უახლოესი მეზობლები

შორენა სალინაძეს! ზურიკო ჩაკვეტაძეს! გილოცავთ დაბადების დღეს დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს გისურვებთ.

გელა, გუჯა, თამუნა და ლუკა.

მარიამ ბენიძეს! გილოცავთ შვილიშვილის ბედნიერებას.

მერი ასათიანი

ვერა სილაგაძე-ჩორგოლიანის ხსოვნას

ერთი წელი გასულა შენი გარდაცვალებიდან, უფერული და ნაღვლიანი ერთი წელი, ისეთი, როგორც საყვარელი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლას მოსდევს. ჩუმად, უპრეტენზიოდ დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება, ზუსტად ისე, როგორც სინამდვილეში იყავი. უფრო და უფრო გვაკლდება შენეული სითბო და სიტკბო და პირიქით, გვიმძლავრდება მონატრებისა და მოლოდინის უსასრულო განცდა.

გამორჩეული იყავი, როგორც მეუღლე, დედა, და ბებია.

ნათელი არ მოაკლოს ღმერთმა შენს სულს.

ოჯახი.

გავა დრო და მოვუყვები შვილებს

„ომარი და დოდო?“--კითხვაზე კითხვით გიპასუხებენ საშუალო და უფროსი თაობის ქუთაისელები, მერე სახეები გაუბრწყინდებათ და;--„როგორ არ გვახსოვს, გენაცვალე! ა-უუ, რა დიდებული დუეტი იყო, რა ხმები! ომარ ბახსოლიანის ცეკვას რა დამავიწყებს!“

60-70-იანი წლების კონცერტების, საღამოების აქტიური მაყურებლები, ამ გახსენებაზე, ახლა იმითაც ინტერესდებიან, სად არის ახლა ის ულამაზესი ვაჟკაცი, ომარ ბახსოლიანი ან მისი და,--კაიხანია, მათზე აღარაფერი გვსმენიაო.

ძნელია, გული ატკინო ბახსოლიანთა შემოქმედების ძველ თაყვანისმცემლებსა თუ ოპერის გვერდით სწორედ ომარის სანახავად ჩუმ-ჩუმად მოცუნცულებულ მაშინელი ახლადშეღებილ გოგონებს, მაგრამ... მაინც გვიწევს, ბევრისათვის სწორედ ჩვენ აღმოვჩნდით ამ სამწუხარო ამბის მაუწყებელი: სულ რამდენიმე თვეა, ორბელის მამა-პაპურმა მიწამ გულში ჩაიხუტა სამშობლოს წლობით მოშორებული, ტრაგიკული ბედის კაცი ომარ ბახსოლიანი. 57 წლის ასაკში ისე წავიდა, თავის საოცარ ვოკალურ თუ ქორეოგრაფიულ ნიჭზე მხოლოდ მოგონებების დატოვა, ტკბილ-მწარე მოგონებები და მეტი არაფერი.

ქუთაისში კი, მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთ მყუდრო ბინაში, ფრთამოტეხილი ფრინველივით დაფარფატებს ძმის ძველ ფოტოსურათებთან შაოსანი ქალბატონი და გიძნელდება, დაიჯერო რომ იგი სწორედ ის ცეცხლოვანი, სირინოზის ხმიანი დოდოა, მისი ბადაგოვანი ხმაც ერთ დროს ხალხით გაჭედილ დარბაზებს ნუსხავდა.

ახალგაზრდა თაობას დღეს უკვე წარმოდგენაც აღარ აქვს და-ძმა ბახსოლიანების მაშინდელი პოპულარობაზე გასაოცარი დიაპაზონის ხმებისა და

ომარის „ქარვასლაში“

არაჩვეულებრივ არტისტიმზე. იმდროინდელ მსმენელს კი ერუანტელს ჰგვრიდა არამარტო მათი შესრულებული ფოლკლორული თუ საესტრადო ნაწარმოებები,--მაშინ, როცა ქუთაისს ოპერა არ ძქონდა, ეს უნიჭიერესი ახალგაზრდები დიდი მონდომებით და წარმატებულადაც წარმოაჩენდნენ საოპერო ხელოვნების ნიმუშებს.

ისინი ვასო აბაშიძის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლის სოლისტები იყვნენ, ამშვენებდნენ საყოფაცხოვრებო სამმართველოსთან ერსაბულ დიდ შერეულ გუნდს, ავტოქარხნის კულტურის სახლთან არსებულ დიდ გუნდს და სხვა შემოქმედებით კოლექტივებსაც. ომარი მურმან ლომთათიძის ცნობილი ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტიც გახლდათ და თავისი მრავალმხრივი ნიჭით ბრწყინავდა. მისმა ულამაზესმა ხმამ მამია ხატელიშვილის ცნობილ ანსამბლშიც არაერთგზის გაიჟღერა და მაშინდელი ცისფერი ეკრანის მაყურებელიც ბევრჯერ დაატკბო.

და-ძმამ არამხოლოდ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების საკონცერტო დარბაზები დაიპყრო თავის მეგობრებთან ერთად, უდიდესი წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს გარეთაც.

...დარჩა მხოლოდ ძველ ჩემოდანში ჩალაგებული ლაურეატობის დიპლომები, სიგელები, მედლები, საგაზეთო ამონაჭერები, არცთუ მაღალი ხარისხის ფოტოსურათები.

და აღარ შემორჩენილა არც ერთი საკონცერტო ჩანაწერი, უბრალო ფირიც კი...

რა საოცრად გულგრილად ეპყრობიან ნიჭიერი ადამიანები საკუთარ არქივს!

მერე მოვიდა 1999 წლის 23 აგვისტო20 სექტემბერს ომარის დაბადების დღე ჰქონდა, სამშობლოსკენ მიეჩქარებოდა. დს დაურეკა, ორბელში ჩემს ბიჭებთან ქეიფი და სიმღერა მომენატრაო.

„ბურჯალიანების, გოლეთიანის, გვიშიანის ბიჭებთან რომ ჩაჯდებოდა და ესენი სიმღერას იტყოდნენ, მათ მოსმენას არაფერი სჯობდაო“,--თვალზე ცრემლი ადგას ქალბატონი დოდოს და ახლა უკვე აღარ შეუძლია მშვიდად ლაპარაკი...ახლა მხოლოდ ცრემლის დროა...

ვეღარ იმღერა ომარ ბახსოლიანმა თავისი უკანასკნელი სიმღერა--შინისაკენ მოიჩქარის, გზაშივე დაუბნელდა.

ვეღარც იმღერა და ვეღარც თავის გიტარას შეახო მგრძნობიარე თითები, იმ გიტარას, ბედით თუ უბედობით, წინასწარვე რომ ასწყვეტოდა პირველი სიმი...

ნანული ცხვედიანი

რედაქცია პასუხს არ აგებს შემოსულ წერილებზე

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი.	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ:7-07-80, 7-34-99